



ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობებში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. შეიცვალოს **1.21. პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1.21. **დისტანციური საბანკო მომსახურება - ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, BOG sCoolApp, ტელეფონ ბანკი, ბანკომატი, თვითმომსახურების ტერმინალი, epay.ge, esesxi.ge, SMS ბანკი, იმეილ ბანკი, SMS ლინკი, მომსახურების დისტანციური არხი.**“
2. დამატოს **1.22. პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1.22. **მომსახურების დისტანციური არხი - ბანკის ელექტრონული კომერციით მომსახურების ფარგლებში არსებული დისტანციური საბანკო მომსახურება.**“
3. ამოღებულ იქნეს შემდეგი ფორმულირებით არსებული **1.74. პუნქტი**.
„1.74. **Tskappლიკაცია - საერთო პირობების დანართ #10-ით განსაზღვრული საბანკო პროდუქტი.**“
4. შეიცვალოს **3.5.2. ქვეპუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3.5.2. სერვის-ცენტრისა და ბანკომატის საშუალებით კლიენტის ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში რეგისტრაციისთანავე ავტომატურად გააქტიურდება **მობილ ბანკი, ტელეფონ ბანკი, მომსახურების დისტანციური არხი**, ხოლო ინტერნეტ ბანკის (შემდეგი ვებ-გვერდიდან: **ibank.ge**) ან **მობილ ბანკის** საშუალებით ცენტრალიზებულ იდენტიფიკაციის სისტემაში კლიენტის რეგისტრაციის შემთხვევაში ავტომატურად გააქტიურდება ყველა **დისტანციური საბანკო მომსახურება.**“
5. დამატოს **3.5.21. ქვეპუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3.5.21. **კლიენტს, მომსახურების დისტანციური არხში ძლიერი ავთენტიფიკაციით ავტორიზაციის გავლის შემდეგ, შესაძლებლობა აქვს ბარათის მეშვეობით შეასრულოს გადახდის ოპერაცია (ბარათით ან ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ით ბანკის ელექტრონული კომერციით მომსახურების ფარგლებში საქონლის/მომსახურების საფასურის უნაღლო ანგარიშსწორების წესით გადახდა).**“
6. ამოღებულ იქნეს შემდეგი ფორმულირებით არსებული **4.9. პუნქტი**.
„4.9. **Tskapp აპლიკაცია;**“

ზემოთ მოცემული პუნქტების ამოღებიდან და დამატებიდან გამომდინარე, არსებული პუნქტების ნუმერაცია შეიცვალოს დარჩენილი პუნქტების თანმიმდევრობის შესაბამისად.